

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების მიზეზი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მოქმედი რედაქცია შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. კონსტიტუციური კანონი ვერ უზრუნველყოფს უფლებამოსილების მკაფიო და ჯეროვან გამიჯვნას სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკასა და თვითმმართველ ერთეულებს შორის, მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დარეგულირებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობა. კონსტიტუციური კანონი გაუმართავია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით.

ა.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიზანი

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებისა და ინსტიტუციური მოწყობის ჯეროვანი მოწესრიგება. ახალი კონსტიტუციური კანონით არ იცვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის, უფლებამოსილებისა და ინსტიტუციური მოწყობის განსაზღვრის საერთო პრინციპები, რომლებსაც მოქმედი კონსტიტუციური კანონი ეფუძნება.

ა.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ძირითადი არსი

კონსტიტუციური კანონი სრულად ანაცვლებს მოქმედ კონსტიტუციურ კანონს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. პროექტი ადგენს შემდეგ ძირითად დებულებებს:

მუხლი 1

არსებითად უცვლელი რჩება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგად სტატუსთან, ტერიტორიულ იურისდიქციასთან, ხელისუფლების განხორციელების ზოგად პრინციპთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებასთან, სიმბოლიკასთან და ადმინისტრაციულ ცენტრთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 2

მე-2 მუხლი ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რომლებიც ახალ კონსტიტუციურ კანონში მკაფიოდ არის გამიჯნული სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებისგან. ახალი ნორმა ადგენს უფლებამოსილებათა უნივერსალობის პრინციპს, რომლის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ

საკუთარ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან. მე-4 პუნქტით განსაზღვრული ახალი ნორმა ადგენს სახელმწიფოს მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობას. მე-5 პუნქტი განამტკიცებს ფინანსებისა და ქონების გამიჯვნის პრინციპს.

მუხლი 3

მე-3 მუხლი ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სტატუსს, არჩევის, აგრეთვე უფლებამოსილების ცნობისა და შეწყვეტის წესს, უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევებს, უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისა და გამოქვეყნების პროცედურას, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს დათხოვნის საფუძვლებსა და წესს. უმაღლესი საბჭოს სტატუსისა და უფლებამოსილების განსაზღვრის საერთო პრინციპები არსებითად შეესაბამება მოქმედი კონსტიტუციური კანონით დადგენილ პრინციპებს.

მუხლი 4

მე-4 მუხლი აწესრიგებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტატუსს, შემადგენლობას, ფორმირების წესს, მთავრობის თავმჯდომარის სტატუსსა და უფლებამოსილებებს, მთავრობის სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების წინაშე, უფლებამოსილების შეწყვეტის წესს და მთავრობის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს. მთავრობის სტატუსის, ფორმირების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის საერთო პრინციპები არსებითად შეესაბამება მოქმედი კონსტიტუციური კანონით დადგენილ პრინციპებს.

მუხლი 5

გარდამავალი დებულებები ითვალისწინებს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებასა და მოქმედი კონსტიტუციური კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებას ამ კანონის გამოქვეყნებისთანავე. მე-3 პუნქტი ადგენს ამ კანონის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვის ვადებსა და პროცედურას.

ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება სახელმწიფოს არ აკისრებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კონსტიტუციური კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას ან მისი ოდენობის ან ოდენობის განსაზღვრის პრინციპის ცვლილებას.

გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კონსტიტუციური კანონის პროექტი სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კონსტიტუციური კანონის პროექტი სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კონსტიტუციური კანონის პროექტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში

კონსტიტუციური კანონის პროექტი მომზადდა საქართველოს პარლამენტის მიერ დაფუძნებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში. კომისიის შემადგენლობაში

შედიოდნენ საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების, კონსტიტუციური ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. კონსტიტუციური კანონის პროექტი კომისიის მიერ მოწონებულ იქნა ერთხმად.

დ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კონსტიტუციური კანონის პროექტს არ ერთვის მის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის, დაწესებულების ან ექსპერტის შეფასება.

ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორი

კონსტიტუციური კანონის პროექტი მომზადდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

ვ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორი

კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის 108 წევრი:

ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, გიორგი ვოლსკი, სოფიო კილაძე, გოგი მეშველიანი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, გოგა გულორდავა, კახაბერ კუჭავა, გიორგი კოპაძე, გურამ მაჭარაშვილი, ეკა ბესელია, პაატა კვიციანიძე, ფატი ხალვაში, ზვიად ძიძიგური, სულხან მახათაძე, გიორგი მოსიძე, გიორგი კახიანი, ცოტნე ზურაბიანი, შალვა კიკნაველიძე, გელა სამხარაული, ირინე ფრუიძე, სამველ მანუკიანი, მამუკა მდინარაძე, თამაზ ნავერიანი, ირაკლი სესიაშვილი, მახირ დარზიევი, ისკო დასენი, გრიგოლ მიქელაძე, ირაკლი შიოლაშვილი, თეიმურაზ ჭკუასელი, სვეტლანა კუდბა, ლევან გოგიჩაიშვილი, ზაზა ხუციშვილი, ნინო წილოსანი, კობა ნარჩემაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, მარიამ ჯაში, დიმიტრი ხუნდაძე, გოდერძი ჩანქსელიანი, რატი იონათამიშვილი, თეიმურაზ კობრიძე, ოთარ ჩრდილელი, ბექა ოდიშარია, მერაბ ქვარაია, კობა კობალაძე, რომან მუჩიაშვილი, აკაკი ზოიძე, მიხეილ ყაველაშვილი, კობა ლურსმანაშვილი, გიორგი ხატიძე, ანრი ოხანაშვილი, ზაზა გაბუნია, ვანო ზარდიაშვილი, თამარ ხულორდავა, არჩილ ხაბაძე, გიგა ბუკია, მუხრან ვახტანგაძე, ელგუჯა გოცირიძე, ილია ნაკაშიძე, პაატა მხეიძე, იოსებ მაკრახიძე, ირაკლი კოვზანაძე, რომან კაკულია, რევაზ არველაძე, შოთა ხაბარელი, გენადი მარგველაშვილი, ალექსანდრე ქანთარია, არჩილ თალაკვაძე, სიმონ ნოზაძე, დიმიტრი მხეიძე, ბიძინა გეგიძე, ზაზა პაპუაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი თოთლაძე, ვიქტორ ჯაფარიძე, ალექსანდრე ერქვანია, ირაკლი მეზურნიშვილი, ბექა ნაცვლიშვილი, გიორგი ბეგაძე, სავალან მირზოევი, ირაკლი ბერაია, რუსლან გაჯიევი, გედევან ფოფხაძე, ლევან კობიაშვილი, ერეკლე ტრიპოლსკი, ანზორ ბოლქვაძე, კარლო კოპალიანი, გია ბენაშვილი, გოჩა ენუქიძე, კობა ნაკაძე, დავით სონღულაშვილი, ლევან ბეჟანიძე, ლერი ხაბელოვი, დიმიტრი სამხარაძე, მირიან წიკლაური, რუსლან პოლოსიანი, ნინო გოგუაძე, სოფიო ქაცარავა, დავით ჭიჭინაძე, თენგიზ ხუბულური, ირაკლი ხახუბია, ენძელა მაჭავარიანი, ივლიანე წულაია, დიმიტრი ცქიტიშვილი, ლევან კობერიძე, ოთარ დანელია, გუგული მალრაძე.